საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-310

05/04/2019

ქ. თბილისი

„არსებული ელექტროგადამცემი ხაზის ტრასაზე ახალი ორჯაჭვა 2x127 [2x255]მგვტ გამტარუნარიანობის 110 კვ ეგხ „ახმეტა-თელავი-წინანდალი-მუკუზანი-გურჯაანის მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე13 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს „გურჯაანის, თელავის და ახმეტის მუნიციპალიტეტებში, არსებული ელექტროგადამცემი ხაზის ტრასაზე ახალი ორჯაჭვა 2x127 [2x255]მგვტ გამტარუნარიანობის 110 კვ ეგხ “ახმეტა-თელავი-წინანდალი-მუკუზანი-გურჯაანის მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნა N30 15.03.2019წ.;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N30 15.03.2019წ. შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გურჯაანის, თელავის და ახმეტის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი